საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

ბავშვთა მათხოვრობაში ჩართვა

(შედარებითსამართლებრივი
ანალიზი)

2021

ავტორი
მარიამ გაიპარაშვილი

შინაარსი

ბავშვთა მათხოვრობაში ჩართვა 2
საქართველოში არსებული მგომარეობა 2
საერთაშორისო სამართლის მიხედვით ტრეფიკინგის განმარტება 3
ბავშებისათვის მათხოვრობის იძულება: გამოწვევები და ქვეყნების შიდა რეგულაციები 4
შეჯამება 8

ბავშვთა მათხოვრობაში ჩართვა
(შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

სსიპ პარლამენტის კვლევითი ცენტრის წინამდებარე კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და შედარებითსამართლებრივ კვლევას. დოკუმენტი მოიცავს იმ რეგულაციებს, რომელიც ყველაზე ეფექტურად არის მიჩნეული მსოფლიოს მასშტაბით არასრულწლოვანთა მათხოვრობაში ჩაბმის შესახებ რეგულაციების თაობაზე.

საქართველოში არსებული მგომარეობა

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლების მუდმივი დარღვევა გამოწვევაა, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება. მათ ხშირად რამდენიმე უფლება ერღვევათ: ისინი ვერ იღებენ განათლებას; ოჯახის წევრები/გარეშე პირები აიძულებენ ქუჩაში მოწყალების თხოვნას; მათ შეზღუდული აქვთ თავისუფალი ნება და იძულებულნი არიან მითითებები შეასრულონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებენ საკვებს; საკვების სანაცვლოდ მათ ოჯახის წევრებისათვის/გარეშე პირებისათვის უწევთ სამუშაოს შესრულება, რაც იძულებით შრომას წარმოადგენს.[1] ხშირია, ოჯახის წევრების მიერ ბავშვების მესამე პირებისთვის ფულის სანაცვლოდ „დრობით გადაცემა“, როდესაც მესამე პირი ბავშვებს მათხოვრობისთვის იყენებს და ქუჩაში ამყოფებს. როგორც აღინიშნა, საკითხი კომპლექსურია და ის მრავალი უფლების დარღვევას მოიცავს.

სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის მიხედვით, *არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.*

თუმცა, რეალური შემთხვევები სცდება უბრალოდ დაყოლიების ფაქტს და ბავშვები გამოყენებულნი არიან როგორც ინსტრუმენტები, მათ აიძულებენ მათხოვრობას, იძულებით შრომას და თანხას მთლიანად ითვისებს მესამე პირი. შესაბამისად, ეს ქმედებები უფრო ხშირად, იძულებითი შრომის/მონობის/ტრეფიკინგის/ექ-სპლუატაციის ფაქტებსაც შეიძლება წარმოადგენდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1432 მუხლის მიხედვით, *არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.*

1. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.unicef.org/georgia/media/1256/file/Street%20Children.pdf; https://www.dol.gov/sites/dolgov/files/ILAB/child_labor_reports/tda2019/Georgia.pdf

საერთაშორისო სამართლის მიხედვით ტრეფიკინგის განმარტება

გაეროს კონვენციის (UN Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons Especially Women and Children)[2] თანახმად, *„ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმი, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას;*

გაერო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვების ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას.[3] გაეროს სპეციალური ოფისის (UNODC) განმარტებით, ტრეფიკინგს რამდენიმე სახე აქვს და დამოუკიდებელ ფორმებად გამოყოფს იძულებით შრომას, მათხოვრობის იძულებას, იძულებით ქორწინებას, სახლში იძულებით შრომას და სხვა.[4] შესაბამისად, ბავშვთა იძულებით მათხოვრობას გაერო, ტრეფიკინგის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს.

ILO-ს (The International Labour Organization) სპეციალური კონვენცია (Convention Concerning Forced or Compulsory Labour)[5] ეძღვნება იძულებით შრომას, სადაც განმარტებულია **იძულებითი/სავალდებულო შრომის ცნება.**[6] 1999 წელს ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია (Worst Forms of Child Labour Convention), რომლის მიზანია ბავშვთა იძულებითი შრომის შემცირება.[7] ILO-ს 2011 წლის ანგარიშის თანახმად, მსოფლიო მასშტაბით 215 მილიონი ბავშვია ჩართული აკრძალულ სამუშაოში, მათ შორისაა, პროსტიტუციისა და ქუჩაში მათხოვრობის იძულება.[8]

ევროკავშირში ტრეფიკინგის საკითხებს სპეციალური დირექტივა არეგულირებს.[9] დირექტივა განმარტავს, რომ არსებული გამოწვევები ტრეფიკინგის უფრო ფართო განმარტებას მოითხოვს, კერძოდ, **იძულებითი მათხოვრობა უნდა განიმარტოს, როგორც იძულებითი შრომა და სათანადო წინაპირობების (იძულების ელემენტი) არსებობისას, ის შეიძლება მიჩნეულ იქნას ტრეფიკინგად. ამასთან, განსაკუთრებული**

2. ქართულად იხ.: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1394035?publication=0

3. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ohchr.org/documents/publications/fs36_en.pdf; https://www.unodc.org/documents/human-trafficking/UNODC_Model_Law_on_Trafficking_in_Persons.pdf

4. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/crime.html

5. ონლაინ იხ.: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C029, ასევე იხ.: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=1000:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C105

6. იქვე: the term forced or compulsory labour shall mean all work or service which is exacted from any person under the menace of any penalty and for which the said person has not offered himself voluntarily.

7. ონლაინ იხ.: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:C182, ასევე, იხ. კონვენციის თაობაზე ILO-ს რეკომენდაცია: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_ILO_CODE:R190

8. ონლაინ იხ.: https://web.archive.org/web/20191024123141/http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/@publ/documents/publication/wcms_155428.pdf

9. DIRECTIVE 2011/36/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 5 April 2011 on preventing and combating trafficking in human beings and protecting its victims, and replacing Council Framework Decision 2002/629/JHA ონლაინ იხ.: https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:101:0001:0011:EN:PDF

ყურადღება უნდა მიექცეს თუ იძულების მსხვერპლი ბავშვია.[10] ევროკავშირის დეკლარაცია (Brussels Declaration on Preventing and Combating Trafficking)[11] ტრეფიკინგის განმარტებისას, მათხოვრობის იძულებას მის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს.[12]

ევროპის საბჭომ (CoE) 2005 წელს მიიღო კონვენცია ტრეფიკინგის თაობაზე (Convention on Action against Trafficking in Human Beings), რომელიც მსხვერპლთა დაცვაზეა ორიენტირებული.[13] კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგს სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (Group of Experts on Action against Trafficking in Human Beings, GRETA) ახორციელებს. ტრეფიკინგის საკითხის აკრძალვისას, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ტრეფიკინგის **მსხვერპლის პასუხისგებაში მიცემა**, იძულებით განხორციელებული ქმედებისათვის, **დაუშვებელია**.[14]

ბავშვებისათვის მათხოვრობის იძულება: გამოწვევები და ქვეყნების შიდა რეგულაციები

Save the children-ის ანგარიშებისა და სხვადასხვა სტატისტიკის თანახმად, ბავშვთა ტრეფიკინგს მასობრივი ხასიათი აქვს და, შესაბამისად, მასთან ბრძოლაც კომპლექსური უნდა იყოს.[15] **U.S. Department of State**-ის 2016 წლის სპეციალური კვლევა, სადაც ქვეყნების მიხედვით პრაქტიკა/კანონმდებლობაა გაანალიზებული, ცხადყოფს რომ ბავშვთა ტრეფიკინგი და მათხოვრობის იძულება მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა.[16] მაგალითად, სენეგალის რესპუბლიკას, სადაც ბავშვთა მათხოვრობის იძულება მწვავე პრობლემაა, Human Rights Watch-მა[17] და ILO-მ

10. იქვე: ...Within the context of this Directive, forced begging should be understood as a form of forced labour or services as defined in the 1930 ILO Convention No 29 concerning Forced or Compulsory Labour. Therefore, the exploitation of begging, including the use of a trafficked dependent person for begging, falls within the scope of the definition of trafficking in human beings only when all the elements of forced labour or services occur. …However, when a child is concerned, no possible consent should ever be considered valid. The expression 'exploitation of criminal activities' should be understood as the exploitation of a person to commit, inter alia, pick-pocketing, shop-lifting, drug trafficking and other similar activities which are subject to penalties and imply financial gain... Exploitation shall include, as a minimum, the exploitation of the prostitution of others or other forms of sexual exploitation, forced labour or services, including begging, slavery or practices similar to slavery, servitude, or the exploitation of criminal activities, or the removal of organs.; ასევე იხ.: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/---ilo-brussels/documents/genericdocument/wcms_170010.pdf

11. ონლაინ იხ.: https://web.archive.org/web/20120617051511/http://www.belgium.iom.int/STOPConference/Conference%20Papers/brudeclaration.pdf

12. იქვე, trafficking in human beings is an abhorrent and worrying phenomenon involving coercive sexual exploitation, labor exploitation in conditions akin to slavery, exploitation in begging and juvenile delinquency as well as domestic servitude.

13. ონლაინ იხ.: https://rm.coe.int/168008371d

14. ECtHR, V.C.L. and A.N. v. The United Kingdom, nos: 77587/12, 74603/12, 16/02/2021

15. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.savethechildren.org/us/charity-stories/child-trafficking-awareness; https://www.savethechildren.org/us/charity-stories/child-trafficking-myths-vs-facts; https://theirworld.org/explainers/child-trafficking; https://www.ilo.org/ipec/areas/Traffickingofchildren/lang--en/index.htm; https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---ipec/documents/publication/wcms_733916.pdf; http://mneguidelines.oecd.org/Ending-child-labour-forced-labour-and-human-trafficking-in-global-supply-chains.pdf

16. ონლაინ იხ.: https://2009-2017.state.gov/documents/organization/258876.pdf

17. Enforce current domestic law that criminalizes forcing another into begging for economic gain— specifically, article 3 of Law No. 2005-06— including by investigating and holding accountable in accordance with fair trial standards marabouts and others who force children to beg. — Consider amending the law to provide for a greater range of penalties, reducing the range of punishment to include only noncustodial sentences and prison sentences under two years, from the present mandatory two to five years, so that punishments can be better apportioned to the severity of exploitation, ონლაინ იხ.: https://www.hrw.org/sites/default/files/reports/senegal0410_brochure_low.pdf

მოუწოდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრებისაკენ.[18]

ევროკავშირმა, ქუჩაში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა ტრეფიკინგის ამკრძალავი დირექტივის მიღების შემდეგაც გააგრძელა - 2012 წელს ევროკომისიამ ჩაატარა ფართომასშტაბიანი მოკვლევა, რათა დაედგინა, წევრი ქვეყნების შიდა მიდგომები ამ საკითხთან მიმართებით.[19] კვლევები ცხადყოფს, რომ ტრეფიკინგი და კონკრეტულად მათხოვრობის იძულების აღმოფხვრა დღემდე დიდი გამოწვევაა ევროპისთვის.[20] ზემოთდასახელებული დირექტივის მიერ დეფინიციის გაფართოების მიზანი და მასში იძულებითი მათხოვრობის მოქცევა სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად.

ბელგიის მიგრაციის ფედერალურმა ცენტრმა 2016 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც მათხოვრობის თაობაზე კანონმდებლობის შედარებითი ანალიზია წარმოდგენილი.[21] კვლევის თანახმად, ქვეყნები მათხოვრობის იძულებას ან ტრეფიკინგის ცნების ქვეშ აქცევს ან შრომითი ექსპლუატაციის სპეციალურ ფორმად მოიაზრებს. საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინდიკატორი, რომლითაც იძულებითი მათხოვრობა გახდება დასჯადი და ის გაიმიჯნება, ნებაყოფლობითი მათხოვრობისგან.[22]

ევროკავშირის დირექტივის მიღების შემდეგ, **ირლანდიაა** მოწინავე ქვეყანა იყო რომელმაც ცნება გააფართოვა და სისხლის სამართლის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეცვალა.[23] ცვლილებების შემდეგ, კანონმდებლობა (The Criminal Law (Human Trafficking))[24] იძულებით მათხოვრობას სპეციალურად არეგულირებს - ახალი დეფინიციის თანახმად, ბავშვისთვის მათხოვრობის იძულება შრომითი ექსპლუატაციაა და ის დასჯადი ქმედებაა.[25] სისხლის სამართლებრივი რეგულაციების პარალელურად, ბავშვთა აქტი ირლანდიაში განსაზღვრავს მათხოვრობის ცნებას. თუ იძულების ელემენტი არ არსებობს, ბავშვზე პასუხისმგებელი პირები იხდიან ჯარიმას, რადგან მათი უყურადღებობის გამო ბავშვი ქუჩაში აღმოჩნდა.[26]

ნორვეგიის კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივისგან განსხვავებით ტრეფიკინგის დეფინიციას ILO-ს კონვენციას არ უკავშირებს, სადაც განმარტებულია იძულებითი შრომის წინაპირობები. ნორვეგიის კანონმდებლობის დეფინიციით, მათხოვრობა არის ტრეფიკინგის სპეციალური ფორმა, თუ ის იძენს იძულებითი შრომის ხასიათს.[27] თუ რა ჩაითვლება იძულებით შრომად, კანონი არ აკონკრეტებს.

18. ონლაინ იხ.: https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO::P13100_COMMENT_ID:3132636; ასევე, იხ.: https://www.refworld.org/pdfid/5bd05aee0.pdf

19. ანგარიში, სადაც წევრი ყველა ქვეყნის პრაქტიკა/კანონი მიმოხილულია 2012 წლის მდგომარეობით იხ.: https://ec.europa.eu/anti-trafficking/sites/antitrafficking/files/report_for_the_study_on_typology_and_policy_responses_to_child_begging_in_the_eu_0.pdf

20. დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://www.antislavery.org/wp-content/uploads/2017/01/trafficking_for_forced_criminal_activities_and_begging_in_europe.pdf

21. გვ. 45-52, ონლაინ იხ.: https://www.myria.be/files/PART_2.4.pdf; დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://ec.europa.eu/anti-trafficking/means-acts-purpose/forced-begging_en

22. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://humantraffickingcenter.org/forced-begging/

23. იქვე, გვ. 41

24. სრული კანონი ონლაინ იხ.: https://revisedacts.lawreform.ie/eli/2008/act/8/revised/en/html

25. 'exploitation' means— (a) labour exploitation,...(d) exploitation consisting of forcing a person to engage in— (i) an activity that constitutes an offence and that is engaged in for financial gain or that by implication is engaged in for financial gain, or (ii) an activity in a place other than the State that— (I) constitutes an offence under the law of that place and would, if done in the State, constitute an offence, and (II) is engaged in for financial gain or that by implication is engaged in for financial gain;", " 'labour exploitation' means, in relation to a person (including a child)— (a) subjecting the person to forced labour (including forcing him or her to beg),.. ცვლილებები ონლაინ იხ.: http://www.irishstatutebook.ie/eli/2013/act/24/enacted/en/print.html

26. ონლაინ იხ.: https://revisedacts.lawreform.ie/eli/2001/act/24/section/247/revised/en/html

27. გვ. 13, https://www.kok-gegen-menschenhandel.de/fileadmin/user_upload/Children_trafficked_for_Exploitation_in_Begging_and_Criminality.pdf

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის[28] 232-ე მუხლი ტრეფიკინგის ცნების ქვეშ ექსპლუატაციას მოიაზრებს და ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმად მათხოვრობას ასახელებს. თუმცა, მათხოვრობის იძულება ასევე აკრძალულია დამოუკიდებელ მუხლში, რომელიც შრომის იძულებას (მუხლი 232b) და ექსპლუატაციას (მუხლი 233) კრძალავს. ცალკე მუხლი არეგულირებს თავისუფლების აღკვეთას ექსპლუატაციის მიზნებისათვის, რომელსაც თან ერთვის მათხოვრობა (მუხლი 233a). ხოლო, 236-ე მუხლი კრძალავს ბავშვთა ტრეფიკინგს, თუმცა ეს შემადგენლობა სხვა შინაარსის მატარებელია და არ ხდება მათხოვრობაზე ხაზგასმა. შესაბამისად, მათხოვრობის იძულება შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა დანაშაულთან თანხვედრაში და იყოს შემადგენლობის თანმდევი წინაპირობაა. თუ რომელი დანაშაულია სახეზე, ამისთვის მნიშვნელოვანია სხვა მუხლის წინაპირობების არსებობის შეფასება.

ესპანეთში, კანონი დანაშაულად აცხადებს ბავშვის მათხოვრობისთვის გამოყენებას.[29] ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში ტრეფიკინგის განმარტებისას მათხოვრობის იძულება დასახელებულია, როგორც ერთ-ერთი ფორმა.[30]

მონტენეგროში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას.[31] სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრას ემსახურებოდა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლითაც ტრეფიკინგის ცნება გაფართოვდა და ის მოიცავს მათხოვრობის იძულებასაც.[32] ძალიან საინტერესოა 444-ე მუხლის მე-7 ნაწილის ჩანაწერი, რომელიც დასჯადად აცხადებს მსხვერპლის სერვისის მიღებასაც.[33]

რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსი ტრეფიკინგის მუხლის განმარტებისას არ ასახელებს მათხოვრობას, როგორც ერთ-ერთ ფორმას. თუმცა, ამ საკითხს არეგულირებს კოდექსის სხვა მუხლები: 214-ე მუხლით იკრძალება ექსპლუატაციის კონკრეტული ფორმა მათხოვრობა[34] და 215-ე მუხლით იკრძალება არასრულწლოვნის გამოყენება მათხოვრობის მიზნებისთვის.[35] საინტერესოა, რომ რუმინეთში 2005 წელს მიიღეს ტრეფიკინგის ამკრძალავი სპეციალური კანონმდებლობა,

28. იხ. მე-18 თავი, ინგლისურად ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p2065

29. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.streetchildren.org/legal-atlas/map/spain/status-offences/is-it-illegal-for-children-to-beg/; https://www.housingrightswatch.org/sites/default/files/2012-12-11_RPT_SPAIN_anti_soc_laws_en_final.pdf

30. იხ. Article 177bis, ონლაინ: https://www.boe.es/buscar/act.php?id=BOE-A-1995-25444&tn=1&p=20150428%23a232

31. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.dol.gov/sites/dolgov/files/ILAB/child_labor_reports/tda2019/Montenegro.pdf

32. *"(1) Whoever, by force or threat, deception or maintaining deception, abuse of authority, trust, dependency relationship, difficult circumstances of the other person, retaining identity papers or by giving or receiving money or other benefits to obtain the consent of a person having control over another: recruits, transports, transfers, sells, buys, mediates in sale, hides or holds another person for the purpose of labor exploitation, forced labor, servitude, slavery or relationship resembling slavery, execution of criminal activities, prostitution or other forms of sexual exploitation,* ***begging,*** *pornographic use, entering into illegal marriage, body part removal for transplantation purposes or for the use in armed conflicts, will be punished by imprisonment of one to ten years. (2) It is considered that the act referred to in paragraph 1 of this Article is committed against a minor when the offender has not used force or some other already mentioned form of execution. (3) If the offense referred to in paragraph 1 of this Article is committed against a minor or if the offense referred to in paragraph 1 of this Article is committed by a public official while performing official duties or intentionally endangered the life of one or more persons, the offender shall be punished with imprisonment of at least three years. (4) If the offense referred to in paragraphs 1 and 3 of this Article have caused serious physical injuries, the offender will be punished by imprisonment from one to twelve years. (5) If the offense referred to in paragraphs 1 and 3 of this Article has resulted in death of one or more persons, the offender will be punished by imprisonment of at least ten years. (6) Whoever commits the criminal offense referred to in paragraphs 1 to 3 of this Article or if the offense was committed in an organized manner by several persons, will be punished by imprisonment of at least ten years. (7) Whoever is procuring services of the person against whom were committed acts stated under paragraph 1 of this Article, shall be punished with imprisonment from six months up to five years. (8) If the offense, referred to in paragraph 7 of this Article is committed against a minor, the offender will be punished with imprisonment of three to fifteen years. (9) The consent of a victim against whom the offense was committed, referred to in paragraphs 1 and 3 of this Article, has no impact on the existence of the crime."* დამატებითი ინფორმაცია იხ.: http://cedem.me/en/component/jdownloads/send/27-publikacije/1859-cedem-childbegging

33. იქვე

34. ონლაინ იხ.: https://legeaz.net/noul-cod-penal/art-214

35. ონლაინ იხ.: https://legeaz.net/noul-cod-penal/art-215

რომელიც განმარტავს ექსპლუატაციას და ტრეფიკინგს.[36] მართალია, არც ერთი ცნების განმარტებისას მათხოვრობის იძულება როგორც ერთ-ერთი ფორმა არაა დასახელებული, თუმცა მე-20 მუხლი აკეთებს დაშვებას, რომ ექსპლუატაციისას პირს შეიძლება მათხოვრობა აიძულონ.[37]

უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი დამოუკიდებელი მუხლებით კრძალავს შრომის იძულებასა და ტრეფიკინგს.[38] ტრეფიკინგის განმარტებაში ნახსენებია პირის ექსპლუატაცია, თუმცა, მათხოვრობის იძულება რომელი მუხლის შემადგენლობას წარმოადგენს ბუნდოვანია. კოდექსში, რომ მათხოვრობის იძულება არ არის აკრძალული გაკრიტიკებულია.[39]

36. *In Romanian law 678/2001 regarding the combating and prevention of trafficking in persons, the definition of trafficking in persons and minors is in compliance with the regulations of the additional Palermo Protocols to the UN Convention against Transnational Organised Crime... Within the category of victims of trafficking in persons, the study also counted children, persons with disabilities or other categories of persons used and transported in order to be exploited through begging by acquaintances or even relatives, based on their situations of vulnerability. A position of vulnerability is defined as the situation in which the trafficked and exploited person has no real or acceptable alternative than to subdue to the abuse, being dependent on exploiter for assuring basic needs such as food, shelter etc,* გვ. 16, გვ. 25-29, იხ.: https://ec.europa.eu/anti-trafficking/sites/antitrafficking/files/trafficking_in_persons_for_begging_-_romania_study_0.pdf

37. *A trafficked victim, who, as a result of his/her exploitation, has committed the offence of prostitution or begging, shall not be punished for it unless, before the prosecution for the crime, he/she informs competent authorities about it,* კანონი იხ.: https://www.legal-tools.org/doc/75a7aa/pdf/

38. იხ. 192 და 193 მუხლები, ონლაინ: https://njt.hu/translated/doc/J2012T0100P_20200331_FIN.PDF

39. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://cps.ceu.edu/sites/cps.ceu.edu/files/cps-book-child-trafficking-in-hungary-2015.pdf

შეჯამება

დოკუმენტში სრულად არის გაანალიზებული რელევანტური საერთაშორისო წყაროები და შედარებითსამართლებრივი კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკას.

ის მთავარ მახასიათებლები, რაც საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს:

- საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მათხოვრობის იძულება წარმოადგენს ტრეფიკინგის ერთ-ერთ ფორმას და არის შრომითი ექსპლუატაცია;
- დასჯად ქმედებას წარმოადგენს მათხოვრობა, რომელიც იძულების შედეგად ხორციელდება;
- მნიშვნელოვანია, მსხვერპლის ქმედება არ იყოს კრიმინალიზებული;
- ევროკავშირის დირექტივა ტრეფიკინგის ცნების ქვეშ მოიაზრებს ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმას. დირექტივა მათხოვრობის იძულების განმარტებისას ეყრდნობა ILO-ს 29-ეკონვენციას და მას იძულებით შრომად განიხილავს. დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ თუ იძულების ელემენტი არსებობს, მათხოვრობა არის ექსპლუატაცია და, შესაბამისად, **ის ექცევა ტრეფიკინგის ცნების ქვეშ;**
- ქვეყნების ნაწილი (გერმანია, ესპანეთი, ნორვეგია, მონტენეგრო), ტრეფიკინგის განმარტებისას, ერთ-ერთ ფორმად ასახელებენ მათხოვრობის იძულებას. თუმცა, გერმანიის კანონმდებლობა მათხოვრობის იძულებას, სხვა დანაშაულების თანმდევ ფორმადაც მოიაზრებს;
- ქვეყნების ნაწილი (ირლანდია, უნგრეთი, რუმინეთი), მათხოვრობის იძულებას არა ტრეფიკინგის, არამედ შრომითი ექსპლუატაციის ფორმად განიხილავენ, რაც დამოუკიდებელი მუხლით რეგულირდება.

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო საქმიანობის მხარდასაჭერად. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს და არ წარმოადგენს პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას. ნაშრომი დაცულია საავტორო უფლებით და დოკუმენტის ან მისი ნაწილის გამოყენება წყაროს მიუთითებლად, ასევე მისი გავრცელება, ასლების შექმნა და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

ავტორი:

საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის
მთავარი მკვლევარი, მარიამ გაიპარაშვილი

Email: mgaiparashvili@parliament.ge